სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
2014 წლის საქმიანობის ანგარიში

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს საოფისე ავეჯის შესყიდვა
11.05.2015

მოწვევა ტენდერში მონაწილეობის შესახებ
04.05.2015

ქ. თბილისის მერია ატარებს ბაზრის კვლევას
08.05.2015

ტრენინგები ბიზნესსექტორის წარმომადგენელთათვის დაიწყო
04.05.2015

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ
04.05.2015

შესყიდვების საერთაშორისო ფორუმი ფილიპინებში
30.04.2015

თბილისი 2015

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

თბილისი 2015

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ქ.თბილისი 0113, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა N8

(+99532) 2 484822

www.procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2014 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი 2015

ლევან რაზმაძე - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე

თავმჯდომარის მიმართვა

2014 წელი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთათვის გარდატეხის წლად შეიძლება შეფასდეს.

სააგენტოს გუნდმა შეიმუშავა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის რეფორმირებისა და თანმიმდევრული განვითარების პოლიტიკა. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, დაიხვეწა და მუდმივი რეფორმირების პროცესშია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პროცედურები.

2014 წლის დასაწყისიდანვე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ერთიანი ელექტრონული სისტემის განახლებული სერვისების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და ახალი პროცედურების გაცნობის, რეგიონებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების დასახვის მიზნით დაიწყო პერმანენტული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები. შეხვედრების ციკლმა ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა.

საჯარო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით, 2014 წლის ოქტომბრიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ამოქმედდა სასწავლო ცენტრი.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნესსექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივების რაოდენობა.

2014 წლიდან დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ყოველთვიური ელექტრონული ჟურნალის გამოცემა, რომლითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის, ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ.

ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს საქმიანობა მაღალ დონეზე შეაფასეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და არასამთავრობო სექტორმა. კერძოდ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), მსოფლიო ბანკმა (The World Bank Group), „საერთაშორისო გამჭვირვალობამ"; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას, განსაკუთრებით გამჭვირვალობის, კონკურენციისა და საჯარო შესყიდვების ეფექტიანობის კუთხით. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობა დადებითად შეაფასეს ქვეყნის სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მომავალშიც გააგრძელებს წარმატებული რეფორმების კურსს. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს რეფორმების პროცესში მხარდაჭერისათვის.

სარჩევი

თავმჯდომარის მიმართვა 3
შესავალი 5
სააგენტოს ახალი სტრუქტურა და ადამიანური რესურსების განვითარება 8
ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი 9
ინოვაციები სახელმწიფო შესყიდვებში ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში 22
სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის eProcurement-ის მოდერნიზება 23
სასწავლო ცენტრის დაარსება და ფუნქციონირება 24
შესყიდვების პროცესის მონიტორინგი 27
კონსოლიდირებული ტენდერები 28
კონკურსები 29
თეთრი და შავი სია 30
დავების საბჭო 33
კომუნიკაცია პარტნიორებთან და მომხმარებლებთან 35
სამოქალაქო და საჯარო სექტორთან ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები 36
საზოგადოების ინტერესი სისტემის მიმართ 40
საერთაშორისო თანამშრომლობა 41
შეფასებები და გამოხმაურებები 45
პარტნიორები 48

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მთავარ მიზანსა და საზრუნავს წარმოადგენს. სახელმწიფო შეყიდვების სფეროს გამართული ფუნქციონირება არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის ბიზნეს სექტორისთვისაც. სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართვა ხელს უწყობს მათი შემოსავლების სტაბილურ ზრდას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება დასაქმებასა და სიღარიბის დაძლევაზე.

2014 წლის აპრილში, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაყოფის შედეგად, ჩამოყალიბდა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2014 წლის 23 აპრილიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის N306 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“. სააგენტოს უმთავრესი ფუნქციებიდან აღსანიშნავია: სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, ანალიზი და საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა, მონიტორინგი, ხარვეზების პრევენცია, ერთიანი ელექტრონული სისტემის შემდგომი სრულყოფა და ადამიანური რესურსების განვითარება.

2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობდა (იხ. სქემა 1):

- ელექტრონული სისტემის მოდერნიზება
- კანონმდებლობის სრულყოფა
- საზოგადოებრივი მონიტორინგის ზრდა
- ადამიანური რესურსების განვითარება

სქემა 1



დიდია სახელმწიფო შესყიდვების როლი ეროვნული ეკონომიკის მდგრად განვითარებაში. სააგენტოს ამ ფუნქციის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია, რომ 2014 წელს სისტემას დაემატა 215 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და 4,285 ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი. ეს ყველაფერი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უახლოეს მომავალში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც საბიუჯეტო სახსრების სტაბილურ ხარჯვას და მეწარმეთა მუდმივ ჩართულობას უზრუნველყოფს.

სტაბილურად ნარჩუნდება სახელმწიფო შესყიდვების ხვედრითი წილი მშპ-ში და ამჟამად ის მშპ-ს 10%-ის ფარგლებშია. თუ 2012 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 2.771 მლრდ ლარი შეადგინა, 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 2.791 მლრდ ლარი, ხოლო 2014 წელს - 2.847 მლრდ ლარი იყო.

2014 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო არსებული სისტემის დახვეწა და კანონმდებლობის სრულყოფა. ამის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილების პაკეტი.

გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა დეტალურად არ არეგულირებდა საპროექტო მომსახურების შესყიდვის საშუალების (კონკურსი) წარმართვის პროცედურებს,

2014 წლის განმავლობაში სააგენტოს მხრიდან გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც მიზნად ისახავდა კონკურსის ბიზნეს პროცესის ერთიანი და სტანდარტული მიდგომის დანერგვას. 2014 წლის განმავლობაში შემუშავდა როგორც შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის პრინციპები, ასევე მიმწოდებელთა შეფასების ალგორითმი, რაც სათანადოდ აისახა კონკურსის ჩატარების წესის პირველ სამუშაო ვერსიაში.

eProcurement-ის დანერგვამ და შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია მიმწოდებელთა შორის. შესყიდვების პროცესების ელექტრონულად წარმართვამ ტენდერში მონაწილეობა არაბიუროკრატიული, არადისკრიმინაციული და სრულად გამჭვირვალე გახადა. შედეგად, სისტემამ მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა. რეფორმების შედეგად, ბოლო ხუთ წელიწადში, ქვეყანაში შეიქმნა ყველაზე გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რომელიც ყოველდღიურად განიცდის სრულყოფასა და დახვეწას, ავტომატური შეტყობინებების სისტემის მეშვეობით ხორციელდება რისკფაქტორების იდენტიფიცირება და მათზე ადექვატური რეაგირება. ყოველივე პოზიტიურადაა შეფასებული შემსყიდველებისა და კერძო სექტორის მიერ.

2014 წელს სააგენტოს საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა საქართველოში წარმოდგენილ დონორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან; მოხდა ორმხრივი ურთიერთობების ინიცირება სხვა ქვეყნების შესყიდვების შესაბამის უწყებებთან.

სააგენტო აქტიურად იყო ჩართული როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების, ასევე ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში; შემუშავდა ევროკავშირი-საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) იმპლემენტაციის 2014-2017 წწ. სამოქმედო გეგმა სახელმწიფო შესყიდვების კუთხით; სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მიზნით განხორციელდა საქართველოს შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი ევროკავშირის შესაბამის შესყიდვების კანონმდებლობასთან.

შემუშავდა 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა, რომლითაც სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ანტიკორუფციული როლის გაძლიერება განისაზღვრა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ღია და ანგარიშვალდებული მმართველობის გამოწვევის ფარგლებში სააგენტო აქტიურად იყო ჩართული ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. სააგენტომ ამ მიმართულებით მიზნად დაისახა სახელმწიფო შესყიდვების კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაფართოება.

შესყიდვების სააგენტოს მნიშვნელოვანი მიღწევები აღიარა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის: მსოფლიო ბანკმა (The World Bank Group), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (UN) და საერთაშორისო გამჭვირვალობამ (Transparency International). ამ უკანასკნელმა, 2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო დაასახელა აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის 19 ქვეყანას შორის საუკეთესოდ.

სააგენტოს ახალი სტრუქტურა და ადამიანური რესურსების განვითარება

2014 წლის 15 აპრილიდან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვილებებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეორგანიზაცია განხორციელდა და გამოეყო კონკურენციის სააგენტო. ნაცვლად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

2014 წლის 23 აპრილიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის N306 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“. რეორგანიზაციის შედეგად სააგენტოს სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილებები და სააგენტოში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფები (იხ. სქემა 2), რომლებიც უზრუნველყოფენ სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად შესრულებას.

სქემა 2



ახალი ქვედანაყოფების დაკომპლექტებისათვის, 2014 წელს სააგენტომ გამოაცხადა კონკურსი 29 ვაკანსიაზე. მათ დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში სულ მონაწილეობა მიიღო 2,968 აპლიკანტმა, რომელთაგან სააგენტოში შესაბამის თანამდებობაზე დაინიშნა 29 (აქედან 12 - ქალი და 17 - მამაკაცი).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იყო ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაცია სადაც, ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად, დაინერგა „ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - eHRMS.“

ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის მთლიანი შიდა ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ს უტოლდება. აქედან გამომდინარე, გამჭვირვალე, კონკურენტულ და სამართლიან გარემოში ტენდერების ჩატარების უზრუნველყოფა წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უშუალო მოვალეობას.

2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 2,846,942,257 ლარს მიაღწია. ამავე წელს გამარტივებული ელექტრონული ტენდერებით, ელექტრონული ტენდერებით, კონსოლიდირებული ტენდერებით და კონკურსის წესით განხორციელებულ შესყიდვებზე დახარჯულმა თანხამ 1,931,200,046 ლარი შეადგინა, რაც გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 68%-ს შეადგენს და 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7%-ით აღემატება (იხ. დიაგრამა 1). შესაბამისად, პირდაპირ პროპორციულად შემცირდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება, რაც ხაზს უსვამს ზოგადად მთავრობის ნებას, რომ სახელმწიფო შესყიდვები ჩატარდეს მაქსიმალურად კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში.

დიაგრამა 1: 2014 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების განაწილება ელექტრონულ და გამარტივებულ შესყიდვებზე



2014 წლის განმავლობაში ჩატარებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 1,945,016,717 ლარი, ხოლო, სახელშეკრულებო ღირებულებამ 1,703,884,154 ლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა 4). შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით დაზოგილ იქნა 241,132,563 ლარი, რაც ჯამური სავარაუდო ღირებულების დაახლოებით 12%-ს შეადგენს. წინა წლებთან შედარებით, ეკონომიის დაახლოებით ორი პროცენტული პუნქტით შემცირებული ოდენობა, მიმწოდებელთა მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების მიმართ გაზრდილი ინტერესის ფარგლებში (იხ. დიაგრამა 8) იმის მანიშნებელია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები როგორც წესი, ბაზარზე არსებულ რეალურ ფასებთან მიახლოებულ სავარაუდო ღირებულებას განსაზღვრავენ. ამით ზემოაღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს როგორც დადებითი ტენდენცია.

განხორციელებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერები რაოდენობრივად და ხელშეკრულებების ღირებულებების მიხედვით, განსხვავებული პროპორციით გადანაწილდა შესყიდვის ობიექტების ტიპებზე (იხ. დიაგრამა 2 და დიაგრამა 3). კერძოდ, ჩატარებული ტენდერების 54% მოდის საქონლის, 25% მომსახურების, ხოლო 21% კი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ხელშეკრულებების ღირებულების კუთხით ლიდერობს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები, რაზეც 2014 წლის განმავლობაში დაიხარჯა 918,627,950 ლარი. შესაბამისად, 478,011,901 და 307,244,303 ლარი იქნა დახარჯული საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე.

დიაგრამა 2: ტენდერების რაოდენობრივი განაწილება შესყიდვის ობიექტებზე



დიაგრამა 3: ტენდერების ღირებულებითი განაწილება შესყიდვის ობიექტებზე და მიღებული ეკონომია



2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებულ იქნა 31,303 ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, საიდანაც. როგორც დიაგრამა 4 გვიჩვენებს, ისევე როგორც 2013 წელს, 2014 წელსაც გამოცხადებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების 80%-ში სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 50,000 ლარზე ნაკლებს, რაც სისტემის საშუალებით, გამჭვირვალე გარემოში ჩატარებულ სახელმწიფო შესყიდვებს ხელმისაწვდომს ხდის მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

დიაგრამა 4: ტენდერების სავარაუდო ღირებულებების განაწილება ფასების ჭრილში



მე-5 დიაგრამაში მოყვანილია გამოცხადებული ტენდერების რაოდენობების განაწილება ცალკეულ თვეებზე. დიაგრამიდან იკვეთება, რომ სახელმწიფო სექტორის აქტივობა მნიშვნელოვნად მცირდება ზაფხულის თვეების განმავლობაში, რაც, დაგეგმილი ბიუჯეტის შემთხვევაში, განაპირობებს ტრანზაქციების სიმრავლეს წლის ბოლოს. ყოველივე ზემოაღნიშნული საჭიროებს შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან მეტ ყურადღებას შესყიდვების ინდივიდუალური დაგეგმვის ეტაპზე. აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით სააგენტოში მომზადდა და გამოიცა მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისათვის. აღნიშნული მითითებები დაინტერესებულ პირებს დაეხმარებათ შესყიდვების უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.

დიაგრამა 5: გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა თვეების ჭრილში



2014 წელს საბოლოო სტატუსი მიენიჭა 30,910 ტენდერს. სობოლოო სტატუსების მიხედვით ტენდერების 71%-ზე გაფორმდა ხელშეკრულება. ეს მაჩვენებელი 1%-ით აღემატება 2013 წლის და 7%-ით 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს (იხ. დიაგრამა 6). აღნიშნული პროგრესის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად სახელმწიფო შესყიდვების მიმართ კერძო სექტორის ინტერესის ზრდა შეიძლება დასახელდეს. მეორეს მხრივ, შესყიდვების წარმატებულად განხორციელება დიდწილად არის დამოკიდებული შემსყიდველ ორგანიზაციათა მხრიდან შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესების კვალიფიციურად წარმართვაზე, რომლის მიზანსაც არა მხოლოდ ორგანიზაციის მოთხოვნების ადეკვატურად განსაზღვრა და ჩამოყალიბება, არამედ ტენდერში საწარმოთა მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და დოკუმენტაციის სათანადოდ დახვეწა განეკუთვნება. 2014 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ერთ-ერთ ძირითად პრობლემურ საკითხად სწორედ შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპის წარმართვის ხარისხი იქნა მიჩნეული, რაზეც, გარკვეულწილად, გამოცხადებულ ტენდერებში არშემდგარი, შეწყვეტილი და უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერების მაღალი ხვედრითი წილი მეტყველებს.

დიაგრამა 6: ტენდერების სტატუსების განაწილება წლების მიხედვით



მიუხედავად თვალსაჩინო პროგრესისა, არშემდგარი, შეწყვეტილი და უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერების 29%-იანი წილი კვლავაც რჩება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად და გამოწვევად როგორც შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის.

ტენდერის წინამოსამზადებელი სამუშაოების არასწორად წარმართვის და შესაბამისად არაადეკვატური სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის პრობლემატიკაზე მიგვანიშნებს გარკვეულ ტენდერებში მიღებული არაადეკვატურად მაღალი ეკონომია, რომელიც ასახულია მე-7 დიაგრამაში. ამასთან, იგივე მე-7 დიაგრამაში ასახული მაჩვენებლები ნათლად წარმოაჩენს ელექტრონული სისტემის შესაძლებლობას რეალურ, საბაზრო

ღირებულებამდე დაიყვანოს ამა თუ იმ შესყიდვის ობიექტის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალი თავდაპირველი სავარაუდო ღირებულება.

დიაგრამა 7: "ტოპ 10 " ტენდერი ფასთა კლების მიხედვით



	რეგისტრაციის ნომერი	პრეტენდენტების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფასის კლება	%
1	SPA14XXXXXXX	21	69,000	4,999	64,001	92.8
2	SPA14XXXXXXX	3	16,000	1,360	14,640	91.5
3	SPA14XXXXXXX	2	7,600	597	7,003	92.1
4	SPA14XXXXXXX	3	3,850	174	3,676	95.5
5	SPA14XXXXXXX	2	3,840	300	3,540	92.2
6	SPA14XXXXXXX	3	3,675	375	3,300	89.8
7	SPA14XXXXXXX	2	3,600	333	3,267	90.8
8	SPA14XXXXXXX	3	2,300	250	2,050	89.1
9	SPA14XXXXXXX	2	1,900	100	1,800	94.7
10	SPA14XXXXXXX	6	1,500	165	1,335	89

როგორც უკვე ითქვა, ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უკვე შეიმუშავა შესაბამისი მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, სადაც ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება. გარდა ხსენებული მეთოდური მითითებებისა, პრობლემის გადაჭრის მიზნით, 2014 წლის ოქტომბერში სააგენტოს მიერ დაარსებულ იქნა სასწავლო ცენტრი, რომელიც საშუალებას აძლევს შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამის პერსონალს აიმაღლონ კვალიფიკაცია[1].

1 შენიშვნა: სასწავლო ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ანგარიშის მე4-თავში.

ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, რომელიც ნაჩვენებია მე-8 დიაგრამაში. 2014 წლის მანძილზე სისტემას შეემატა 4,285 ახალი პოტენციური მიმწოდებელი და ჯამში წლის ბოლოსთვის სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობამ 19,911 შეადგინა, რაც ქვეყნის მასშტაბით მოქმედი აქტიური ბიზნესის 18.5%-ს[2] შეადგენს. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სააგენტოს მიერ ბოლო წლებში გატარებული წარმატებული რეფორმებისა და სისტემის მოდერნიზაციის ხარჯზე.

დიაგრამა 8: 2014 წელს რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა სისტემაში



პერიოდი	რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა 2012 წელი	რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა 2013 წელი	რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა 2014 წელი
იანვარი	495	443	421
თებერვალი	472	493	408
მარტი	358	397	463
აპრილი	272	408	362
მაისი	318	338	304
ივნისი	308	358	337
ივლისი	280	374	281
აგვისტო	215	329	268
სექტემბერი	157	330	373
ოქტომბერი	152	340	358
ნოემბერი	198	346	309
დეკემბერი	283	420	401
ჯამი	3,508	4,576	4,285

სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების ორ ყველაზე დიდ ჯგუფს სამართლებრივი ფორმების მიხედვით წარმოადგენენ შპს-ები (61%) და ინდივიდუალური მეწარმეები (23%). 2014 წლის ბოლოსთვის

2 მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ მოწოდებული მასალებიდან.

სისტემაში რეგისტრირებული შპს-ების რაოდენობა 9,677-დან 12,234-მდე გაიზარდა, რაც ქვეყნის მასშტაბით მოქმედი აქტიური შპს-ების დაახლოებით 27%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა 9). სისტემაში რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმეების რიცხვი 3,742-დან 4,578-მდე გაიზარდა, რაც ქვეყანაში მოქმედი აქტიური ინდივიდუალური მეწარმეების დაახლოებით 8%-ს უტოლდება.

დიაგრამა 9: რეგისტრირებული მიმწოდებლების განაწილება ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმების მიხედვით



ერთიან ელექტრონულ სისტემაში იმატა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოური კომპანიების აქტივობამაც. უცხოური კომპანიებისათვის სახელმწიფო შესყიდვებზე შეუფერხებელ წვდომას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს; დღესდღეობით სააგენტოს ვებგვერდი და ერთიანი ელექტრონული სისტემა ოპერირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი ვერსიები და სისტემაში დანერგილია ევროკავშირის მიერ შემუშავებული შესყიდვის ობიექტთა CPV-კლასიფიკატორი, რომელიც ამარტივებს საინტერესო ტენდერების იდენტიფიცირებას უცხოური კომპანიებისათვის. ამასთან, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2,000,000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება აღემატება 4,000,000 ლარს, სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-8 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ტენდერის შესახებ განცხადება სისტემაში განათავსოს ინგლისურ ენაზეც. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, 2014 წლის

დეკემბრის მონაცემებით სისტემაში დარეგისტრირებული არარეზიდენტი (უცხოური) კომპანიების რიცხვმა 480-ს გადააჭარბა. უცხოური კომპანიების ცალკეულ ქვეყნებზე განაწილება მოცემულია ქვემოთ განთავსებულ მე-10 დიაგრამაში.

დიაგრამა 10: არარეზიდენტი კომპანიების რაოდენობა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში


2014 წლის მდგომარეობით უცხოური კომპანიების რაოდენობა ერთიან ელექტრონულ სისტემაში-482
87
59
39
28
27
22
17
14
13
13
11
11
11
9
7
7
6
6
5
5
5
5
5
4
4
4
4
4
3
3
3
2
2
2
2
2
2
2
1
1
1

დიაგრამა 11: **არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები**









2014 წლის მდგომარეობით ტენდერებში პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 2.02-ს. როგორც მე-12 დიაგრამა გვიჩვენებს, ცალკეულ შესყიდვის კატეგორიებში საშუალო პრეტენდენტთა რაოდენობამ გადააჭარბა 3-ს.

დიაგრამა 12: 2014 წელს „ტოპ 10“ შესყიდვის კატეგორია საშუალო მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით



	შესყიდვის კატეგორია	ტენდერის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	მონაწილეთა საშუალო რაოდენობა	ეკონომია
2	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები	1,174	3,685	3.14	24,568,827
9	51800000-ლითონის კონტეინერების მონტაჟი	1	3	3.00	14,775
7	18300000-ტანსაცმელი	31	89	2.87	178,284
1	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2,507	6,967	2.78	124,599,549
10	34400000-მოტოციკლეტები, ველოსიპედები და მოტოციკლეტის ეტლები	3	8	2.67	9,362
5	აქსესუარები	78	207	2.65	653,979
6	39800000-საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია	98	258	2.63	267,481
4	45100000-სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	151	396	2.62	2,338,705
8	14600000-ლითონის მადანი და შენადნობები	7	18	2.57	17,604
3	45300000-სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	550	1,408	2.56	10,735,918
	ჯამი	**4,600**	**13,039**		**163,384,484**

მე-13 დიაგრამა გვიჩვენებს „ტოპ 10“ შემსყიდველ ორგანიზაციას 2014 წელს სისტემაში ყველაზე მეტი ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების გამოცხადების მიხედვით.

დიაგრამა 13: 2014 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის მიხედვით



	შემსყიდველი ორგანიზაცია	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება
1	შემოსავლების სამსახური	624	26,433,078
2	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	574	133,450,727
3	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	572	33,412,284
4	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	558	31,966,138
5	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	548	29,897,784
6	ქ. თბილისის მერია	542	187,098,174
7	საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	428	29,922,329
8	სს ,,საქართველოს რკინიგზა"	424	98,117,507
9	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	407	6,348,586
10	შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი	398	28,142,325
	ჯამი	**5,075**	**604,788,932**

ინოვაციები სახელმწიფო შესყიდვებში
ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დასახვეწად 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა შესყიდვის პროცედურები, სახელდობრ:

- ხელახლა ჩამოყალიბდა შავი სიის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს თანაზომიერების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპების განუხრელად დაცვას. რეგლამენტირებულ იქნა შავ სიასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა;
- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვისათვის თანხმობის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი/ორგანო, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს შესყიდვების პროცედურებს;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დაწესდა გასაჩივრების 15 დღიანი შეზღუდვა, რაც საჩივრის განხილვის პროცესს ხდის სწრაფს როგორც მომჩივანის, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის;
- მოწესრიგდა კონსოლიდირებული ტენდერიდან გამომდინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შავ სიაში დარეგისტრირების საკითხი;
- შესყიდვების პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისათვის მომზადდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების პროექტები;
- გამარტივდა და დაიხვეწა შავი სიის წარმოების შიდა ორგანიზაციული პროცესი. დღესდღეობით შესაბამის სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებას შეიცავს თავად საქმის გადაწყვეტის შესახებ განკარგულება, რაც შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის eProcurement-ის მოდერნიზება

- 2014 წელს სააგენტოს მიერ შემუშავდა და დაინერგა ავტომატური შეტყობინებების სისტემა, რაც გულისხმობს როგორც პრობლემური ტენდერების, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციების ხარვეზების და შეცდომების იდენტიფიცირებას გარკვეული რისკ-ფაქტორების მიხედვით;
- განხორციელდა კონკურსების, დავების საბჭოს, e-PLAN-ისა და CMR-ის ელექტრონული მოდულების სრულყოფა და მოდერნიზება;
- დაპროექტდა, შეიქმნა და დაინერგა სპეციალური ელექტრონული პლატფორმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დონორების სახსრებით შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩასატარებლად. ამასთან, სააგენტოს თანამშრომლების ჩართულობით მომზადდა, ხოლო მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გამოიცა „დონორის სახსრებით შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განხორციელების მომხმარებლის სახელმძღვანელო“;
- ელექტრონული სერვისების განვითარების გეგმის ფარგლებში, სააგენტოს სასწავლო ცენტრისათვის, მსმენელთა ტესტირებისა და შეფასების ელექტრონულად ჩატარების მიზნით, შეიქმნა სრულიად ახალი და უნიკალური ტესტირების პროგრამული უზრუნველყოფა;
- აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წელს შეიქმნა სააგენტოს სრულიად ახალი, ოფიციალური ვებგვერდი (procurement.gov.ge), რომელიც გამოირჩევა თანამედროვე, დახვეწილი, ლაკონური დიზაინით და მარტივი ნავიგაციით. ამ ვებგვერდზე ყველაზე მოთხოვნადი სერვისები და მოსაძებნი დოკუმენტები თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციაზე მომენტალურ წვდომას;
- სააგენტოს ახალი ვებგვერდი განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის e-Cloud (ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიები) პლატფორმაზე. ეს მოწინავე ტექნოლოგია უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას, სერვისის უწყვეტობას და კიბერუსაფრთხოების მაღალ დონეს;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement) რეგისტრირებულ მომხმარებლებთან კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, გაჩნდა შესაძლებლობა, რომ სააგენტომ იქონიოს ოფიციალური მიმოწერა მომხმარებლებთან სისტემის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადმინისტრაციული წარმოების ოპერატიულობა.



სასწავლო ცენტრის დაარსება და ფუნქციონირება

2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, შემსყიდველი და მიმწოდებელი ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტების გადამზადების მიზნით, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი - სასწავლო ცენტრი.

ცენტრის ამოცანების მიღწევა დაგეგმილია სასერთიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების, სტაჟირების პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის გზით.

სასწავლო კურსს წარმართავენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შერჩეული არიან ცოდნის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. სასწავლო კურსი სრულად ფინანსდება სააგენტოს მიერ.

სასწავლო ცენტრში, 2014 წელს ჩატარდა ტრენინგების ორი ციკლი, რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. ექვს სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ 60 მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქების მერიებისა და გამგეობების შესყიდვების სპეციალისტები; ჯამში 2014 წელს გადამზადდა 92 მსენელი.

ქვემოთ წარმოდგენილ რუკაზე წითელი წერტილებით აღნიშნულია ქვეყნის ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, საიდანაც წარმოდგენილი იყვნენ შესყიდვების სპეციალისტები სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად (იხ. სურათი 1) .

სურათი 1

შესყიდვების პროცესის მონიტორინგი

სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას და ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებული ტენდერების და CMR მოდულში ატვირთული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების მონიტორინგი.

2014 წელს განხორციელდა იმ ტენდერების მონიტორინგი, რომლებიც გაფილტრული იქნა სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით.

მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელდა „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მქონე 10,000-ზე მეტი ტენდერის მონიტორინგი, რაც აღემატება აღნიშნული სტატუსის მქონე ტენდერების საერთო რაოდენობის 51 %-ს.

ასევე, დამუშავებული იქნა 3,000-მდე ტენდერი, რომელთაც მინიჭებული აქვთ სტატუსი „ტენდერი შეწყვეტილია“, „ტენდერი არ შედგა“ და „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.

ამასთან, მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 30,000-მდე ხელშეკრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც გამოვლენილ იქნა მონეტარული ზღვრების დარღვევისა და ხელოვნური დაყოფის ფაქტები.

ზემოაღნიშნული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე გაგზავნილ იქნა 2,000-მდე წერილობითი შეტყობინება, რომელთა მიმართებაშიც სააგენტო ძირითადად შემოიფარგლა რეკომენდაციით.

სააგენტოს მიერ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შედგენილია 30 ადმინისტარციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლებიც გადაგზავნილ იქნა სასამართლოში შემდგომი რეაგირებისთვის.

სააგენტოს მიერ შედგენილი 30 სამართალდარღვევის ოქმიდან 1 საქმეზე სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება, სასამართლო 27 ადმინისტრაციული ოქმის შემთხვევაში, შემოიფარგლა შენიშვნით და არ დააჯარიმა ოქმში სამართალდამრღვევი პირები, ხოლო 2 ოქმის შემთხვევაში გამოყენებულ იქნა საჯარიმო სანქცია 1500 ლარის ოდენობით.

კონსოლიდირებული ტენდერები

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის დავალებით, სააგენტო 2012 წლიდან რიგ შესყიდვის ობიექტებზე (საწვავი,კომპიუტერები, საბეჭდი ქაღალდი, ფიჭური სატელეფონო მომსახურება) ატარებს კონსოლიდირებულ ტენდერებს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2014 წლის შესყიდვების კონსოლიდირებულად ჩატარების მიზნით, ელექტრონულ სისტემაში, 2013-2014 წლებში გამოცხადდა ხუთი კონსოლიდირებული ტენდერი ოთხ სხვადასხვა სახეობის ნავთობპროდუქციაზე (საწვავზე), ორი ტენდერი სტანდარტულ პერსონალურ და სტანდარტულ სატარებელ/პორტაბელურ კომპიუტერებზე, ორი სახეობის საბეჭდ ქაღალდზე და ფიჭურ სატელეფონო მომსახურებაზე.

2014 წელს, 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების კონსოლიდირებული წესით ჩატარების მიზნით, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ შემუშავდა და დადგენილი წესით გამოქვეყნდა ახალი ნორმატიული აქტები. ამ უკანასკნელთა საფუძველზე, 2015 წლის შესყიდვების კონსოლიდირებული წესით განხორციელების მიზნით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, 2014 წლის დეკემბერში სააგენტოს მიერ გამოცხადდა შვიდი კონსოლიდირებული ტენდერი ხუთი სახეობის ნავთობპროდუქციის (საწვავის) შესყიდვაზე და ორი ტენდერი სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების შესყიდვაზე, ასევე 2015 წლის პირველ კვარტალში გამოცხადდა და შედგა სამი კონსოლიდირებული ტენდერი ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და ორი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესასყიდად.

2014 წელს კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით დაზოგილმა თანხამ ჯამში 35 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ამჟამად, სააგენტოს მიერ ინტენსიურად ხორციელდება ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა, რათა მოხდეს იმ შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა შესყიდვაც კონსოლიდირებული სახით გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით.

კონკურსები

კონკურსი ტენდერების ალტერნატიული შესყიდვის საშუალებაა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი ტიპისა თუ შინაარსის საპროექტო მომსახურების შესყიდვა.

გამომდინარე იქიდან, რომ შესყიდვების კანონმდებლობა დეტალურად არ არეგულირებდა საპროექტო მომსახურების შესყიდვის საშუალების (კონკურსის) წარმართვის პროცედურებს, 2014 წლის განმავლობაში სააგენტოს მხრიდან გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც მიზნად ისახავს კონკურსის ბიზნესპროცესის ერთიანი და სტანდარტული მიდგომის დანერგვას. შემუშავდა როგორც შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის პრინციპები, ასევე მიმწოდებელთა შეფასების ალგორითმი, რაც სათანადოდ აისახა კონკურსის ჩატარების წესის პროექტში. შედეგად, გადადგმული ნაბიჯებით დაკმაყოფილდა ყველა ის წინაპირობა, რომელიც საჭიროა ერთიან ელექტრონულ სისტემაში კონკურსის მოდერნიზებული მოდულის გაშვებისათვის.

კონკურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი თავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე http://contest.procurement.gov.ge-ზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

2014 წელს სულ 386 კონკურსი გამოცხადდა, რომლის სტატუსები მოცემულია დიაგრამა 14-ში.

დიაგრამა 14: გამოცხადებული კონკურსები სტატუსების მიხედვით



თეთრი და შავი სია

2014 წელს დაიხვეწა შავი და თეთრი სიის წარმოების სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები; ხელახლა ჩამოყალიბდა შავი სიის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმები და დაწესდა შავ სიასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა, ასევე დაზუსტდა თეთრი სიის წარმოების პროცედურა, რამაც შესაძლებელი გახადა განხილვის ფაქტობრივი ვადა შემცირებულიყო 60 დღიდან 30 დღემდე.

- ხელახლა ჩამოყალიბდა შავი სიის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმები;
- დაწესდა შავ სიასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა;
- შავ სიასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 649 გადაწყვეტილება;
- შავ სიაში დარეგისტრირდა 214 მიმწოდებელი;
- გაფრთხილება მიეცა 395 მიმწოდებელს;
- მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 28 შემსყიდველ ორგანიზაციას;
- სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდით შეჩერებულია 11 საქმე;
- თეთრ სიაში დარეგისტრირდა 65 მიმწოდებელი.

წინა წელთან შედარებით 45%-ით გაზრდილია თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა - თუ 2013 წელს 36 ახალი მიმწოდებელი იყო რეგისტრირებული, 2014 წლის განმავლობაში ამ რიცხვმა 65-ს მიაღწია (იხ. დიაგრამა 15).

დიაგრამა 15: 2014 წელს თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა



თეთრი სიის პარალელურად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს შავ სიას და გაფრთხილებულ მიმწოდებელთა რეესტრს. შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებლებს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალებათ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. რეესტრი ინტეგრირებულია e-Procurement-ში, რის შედეგადაც ტენდერში მონაწილეობა შეუძლებელი ხდება შავ სიაში მყოფი მიმწოდებლებისათვის. 2014 წელს შავ სიაში შეყვანისა და გაფრთხილებების რაოდენობამ ჯამში 609 შეადგინა, აქედან შავ სიაში დარეგისტრირდა 214 მიმწოდებელი, ხოლო გაფრთხილება მიეცა 395 მიმწოდებელს (დიაგრამა 16).

დიაგრამა 16: 2014 წელს შავ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა



2014 წლის ბოლოსთვის მიმდინარე საქმეებთან ერთად დასრულდა აგრეთვე შავი სიის ძველი საქმეების განხილვა.

შავ და თეთრ სიაში მყოფი მიმწოდებლების შესახებ მონაცემები განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procurement.gov.ge.

დავების საბჭო

2010 წლის 10 დეკემბრიდან სააგენტოში ფუნქციონირებს დავების განხილვის საბჭო ექვსი წევრის შემადგენლობით. საბჭო დაკომპლექტებულია პარიტეტის პრინციპით სააგენტოს თანამშრომლებისა და არასამთავრობო სექტორის სამი წარმომადგენელით. ხაზგასასმელია, რომ დავების განხილვის საბჭო არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში და მისი გადაწყვეტილების შეცვლა/გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით. დავების განხილვის პროცედურა, მათ შორის საბჭოს გადაწყვეტილებები არის საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

დავების საბჭოში გასაჩივრება უფასოა და გადაწყვეტილების მიიღება უპრეცენდენტოდ მოკლე ვადაში, 10 სამუშაო დღეში ხორციელდება.

საგულისხმოა, რომ ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდგომ, საგრძნობლად გაზრდილია შემოსული საჩივრების რაოდენობა, რაც საზოგადოებაში დავების საბჭოს მიმართ ნდობის ამაღლებაზე მიგვანიშნებს. შემოსული საჩივრების რაოდენობა 2013 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგებულია (იხ. დიაგრამა 17).

დიაგრამა 17: შემოსული საჩივრების რაოდენობა წლების მიხედვით



შემოსული საჩივრების რაოდენობა

2014 წელს შემოსული 572 საჩივრიდან 226 საჩივარზე მიღებულ იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება (იხ. დიაგრამა 18).

დიაგრამა 18: 2014 წელს შემოსული საჩივრების რაოდენობა სტატუსების მიხედვით



აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წელს დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან სასამართლოში გასაჩივრდა სულ 24 გადაწყვეტილება (იხ. დიაგრამა 19), რაც შეადგენს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მხოლოდ 4.2%-ს. დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლომ 17 სარჩელის შემთხვევაში ძალაში დატოვა და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა; მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება დასრულდა უარყოფითი შედეგით; დანარჩენი შვიდი საქმე განხილვის პროცესშია.

დიაგრამა 19 : 2014 წელს სასამართლო პროცესები (დავების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით)



გაფართოვდა საჩივრების წარმომდგენ პირთა განაწილება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით და იმატა გასაჩივრებული ტენდერების რაოდენობამ რეგიონებში. თუკი 2010-2011 წლებში საჩივრების უმეტეს ნაწილს (67%) შეადგენდა თბილისი (იხ. დიაგრამა 20), 2012 წლის შემდგომ გასაჩივრებულმა ტენდერებმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა.

დიაგრამა 20: მომჩივანთა განაწილება რეგიონების მიხედვით



ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეთა ნდობა ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუციის მიმართ ყოველდღიურად იზრდება, რაც თავის მხრივ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოზე.

კომუნიკაცია პარტნიორებთან და მომხმარებლებთან

2014 წლის განმავლობაში სააგენტოში მიღებულია და დამუშავებულია 7,974 კორესპონდენცია და გასულია 5,031 წერილი/რეკომენდაცია.

სააგენტოში ფუნქციონირებს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი, რომლის მეშვეობითაც ყოველწლიურად 10,000-მდე ზარს ეცემა კომპეტენტური, სრულყოფილი და კვალიფიციური პასუხები. ასევე, სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@procurement.gov.ge-ზე შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 4,838 წერილს. დაარქივდა 2,000-ზე მეტი შემოსული დოკუმენტი. 2014 წელს სისტემის მომხმარებლის სხვადასხვა

საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით გაგზავნილია 17,515,994 სისტემური შეტყობინება და 154,126 მოკლე ტექსტური შეტყობინება, რაც ორჯერ აღემატება 2013 წლის მაჩვენებლებს. აღნიშნული მატება უმეტესწილად განპირობებულ იქნა სისტემაში ახალი სერვისების დამატებით.

სამოქალაქო და საჯარო სექტორთან ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო კვლავ აღრმავებს და აგრძელებს დიალოგს არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებთან, იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საჯარო სექტორში დასაქმებულ მოხელეთა კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლებას, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. კომუნიკაცია და დიალოგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეგიონებისათვის, სადაც დაბალია როგორც საწარმოების ჩართულობა საჯარო შესყიდვებში, ასევე დასაქმების დონე. 2014 წლის განმავლობაში ჩატარდა და მედიაში გაშუქდა ხუთი რეგიონული შეხვედრა სახელმწიფო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტებთან ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის, გურიის, იმერეთის და აჭარის რეგიონის, ასევე ქ. ფოთის ფარგლებში მოქმედ შემსყიდველ ორგანიზაციებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე სააგენტომ გააჟღერა როგორც შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან დაშვებული ტიპიური შეცდომები, ასევე სატენდერო დოკუმენტაციების გაუმჯობესების პოტენციალი სახელმწიფო ტენდერებში მიმწოდებელთა უფრო აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფისათვის.

დამატებით შედგა საგანგებო საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ბიზნეს სექტორისა და საქართველოში აკრედიტებული უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ბიზნეს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია და კერძო სექტორის დაინტერესება სახელმწიფო შესყიდვებით.



შედგა შეხვედრა სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებთან; შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბიზნესმენთათვის ინფორმაციის მიწოდება, დისკუსიის წარმართვა სამშენებლო სექტორში არსებული პრობლემებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ. სააგენტოს სპეციალისტების მიერ მომზადებული და პრეზენტირებული იყო რიგი ინიციატივებისა ამ სექტორის პრობლემების აღმოსაფხვრელად.

2014 წელს პირველად მომზადდა და გაეშვა (გამოქვეყნდა) ელექტრონული ჟურნალი e-Newsletter, რომელიც დაეგზავნა სისტემაში რეგისტრირებულ 25,000-ზე მეტ მომხმარებელს, საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, სავაჭრო-სამრეწველო პალატებს/ ასოციაციებს/კონფედერაციებს და მედიას. ასევე, ის განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე და Facebook-ის გვერდზე. e-Newsletter-ის სერიის გამოშვების მიზანია დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება, როგორც აქტივობებისა და დანერგილი სიახლეების შესახებ, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი ტენდენციების შესახებ.

NEWSLETTER
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY
ყვავი ყვავიფრრ ხიდავს...
გამოცემა
2014
N1
სსიპ სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტომ შეიცვალა მისამართი.
გთხოვთ, მოგვმართოთ ჩვენს
ახალ მისამართზე:
თბილისი, 0113,
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა
(ისანი - ყოფილი გალდადის
ქუჩა), №8.
სააგენტოში, ასევე, მოქმედებს
ცხელი ხაზი. სამუშაო დღეებსა
და საათებში შეგიძლიათ
დაგვიკავშირდეთ ტელეფონის
ნომერზე:
(032) 2 48 48 22
და სახელმწიფო შესყიდვებთან
დაკავშირებულ თქვენთვის
საინტერესო საკითხებზე მიიღოთ
კომპეტენტური პასუხები და
კონსულტაცია.
governance
government
procurement

საზოგადოების ინტერესი სისტემის მიმართ

ქართული ელექტრონული შესყიდვების ზოგად წარმატებას და მისდამი დიდი ინტერესის არსებობას ხაზს უსვამს სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის www.procurement.gov.ge ვიზიტორთა რაოდენობა, რომელმაც 254,403-ს გადააჭარბა. წარმოდგენილი დიაგრამებიდან იკვეთება, რომ 2014 წელს ვებგვერდმა დიდი საერთაშორისო ინტერესი გამოიწვია.



	ქვეყანა	ვიზიტები	% ახალი ვიზიტი	ახალი ვიზიტები	საშუალო ვიზიტის ხანგრძლივობა
1	საქართველო	1,972,921	10.56%	208,259	0:04:15
2	უკრაინა	3,381	33.39%	1,129	0:04:11
3	თურქეთი	3,145	24.20%	761	0:03:44
4	აშშ	2,602	25.13%	654	0:04:47
5	რუსეთი	1,903	37.78%	719	0:03:23
6	გერმანია	1,496	47.93%	717	0:03:35
7	ინდოეთი	1,226	68.92%	845	0:05:03
8	სომხეთი	1,107	30.53%	338	0:03:36
9	ნიდერლანდები	837	31.30%	262	0:03:26
10	სლოვენია	828	24.28%	201	0:02:43
11	აზერბაიჯანი	787	23.89%	188	0:02:39
12	ჩინეთი	739	28.28%	209	0:03:42
13	საფრანგეთი	633	17.54%	111	0:08:26
14	დიდი ბრიტანეთი	581	26.68%	155	0:03:38
15	იტალია	535	18.13%	97	0:02:49

საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესების უფრო მეტად სრულყოფას.

პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებაზე მუშაობა.

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებაა.

რას ითვალისწინებს DCFTA?

შეთანხმების სახელმწიფო შესყიდვების თავი ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და თანმიმდევრულ გახსნას, რაც შესაძლებლობას მისცემს საქართველოს კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში.

შესყიდვების ბაზრის გახსნა დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებასთან ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.

შეთანხმება ვრცელდება მხოლოდ იმ საჯარო შესყიდვებზე, რომელთა ღირებულება აღემატება შეთანხმებით გათვალისწინებულ მონეტარულ ზღვრებს, კერძოდ:

- 1,304,000 ევროს საქონლის და მომსახურების შესყიდვა და კონკურსები სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ;
- 20,000 ევროს საქონლისა და მომსახურების შესყიდვა სხვა დაწესებულებებისაგან;
- 5,186,000 ევროს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, მათ შორის კომუნალური მომსახურების სექტორში (ენერგეტიკა, წყალმომარაგება, ბუნებრივი აირის მიწოდება; დღესდღეისობით ამაზე სახელმწიფო შესყიდვები არ ვრცელდება);
- 5,186,000 ევროს ღირებულების შესყიდვა კონცესიების შემთხვევაში;
- 414,000 ევროს საქონლისა და მომსახურების შესყიდვა კომუნალური მომსახურების სექტორში;
- 750,000 ევროს სოციალური და სხვა სპეციფიური მომსახურების შესყიდვა;
- 1,000,000 ევროს სოციალური და სხვა სპეციფიური მომსახურების შესყიდვა კომუნალური მომსახურების სექტორში.

შეთანხმების მოსალოდნელი შედეგები

ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის მოცულობა 400 მილიარდ ევროზე მეტია, შესაბამისად, ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნა საქართველოს კომპანიებისთვის ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობებს შექმნის, თუ ისინი იქნებიან კონკურენტუნარიანები. ევროკავშირის შესყიდვების ბაზრის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნა საქართველოს კომპანიებისათვის მოხდება ეტაპობრივად. ბაზარი სრულად გაიხსნება შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წელიწადში.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა გავრცელდება კომუნალური მომსახურების სექტორში მოქმედ კომპანიებზე, რომელთაც გააჩნიათ ექსკლუზიური ან/და სპეციალური უფლებები (მაგ. ენერგეტიკის სფეროში, წყლის და გაზის მიწოდება). ასევე, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა გავრცელდება კონცესიებზე (ანალოგიურად, შესაბამისი შინაარსის მქონე ურთიერთობებზე). ამჟამად კი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კონცესია არ არის სახელმწიფო შესყიდვის საშუალება.

ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნის საორიენტაციო ვადები

სახელმწიფო შესყიდვების თავი მოიცავს დანართს, სადაც გაწერილია კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოებისა და შესაბამისად, ბაზრის გახსნის ეტაპები და საორიენტაციო ვადები.

საორიენტაციო ვადები, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან	საქართველოს ბაზრის გახსნა ევროკავშირისათვის	ევროკავშირის ბაზრის გახსნა საქართველოსთვის
წელი 3	ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის შესყიდვები	ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის შესყიდვები
წელი 5	საქონლის შესყიდვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების, ასევე საჯარო სამართალს დაქვემდებარებული პირების მიერ	საქონლის შესყიდვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების, ასევე საჯარო სამართალს დაქვემდებარებული პირების მიერ
წელი 6	საქონლის შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ	საქონლის შესყიდვა ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ
წელი 7	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიების გაფორმება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიების გაფორმება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ
წელი 8	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ	მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ

DCFTA-ის იმპლემენტაციის მიზნით, 2014 წელს სააგენტოს მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის:

- განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების ძირითად სტანდარტებთან და შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით, რომლის მიზანს შემდგომში წარმოადგენს DCFTA-ს შესაბამისად საკანონმდებლო დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება; სააგენტოს ამ კუთხით ტექნიკურ დახმარებას უწევდა SIGMA (ევროკავშირისა და OECD ერთობლივი ინიციატივა).
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ევროკავშირის ახალი დირექტივების გაცნობის მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები;
- შემუშავდა სახელმწიფო შესყიდვების კუთხით DCFTA-ს იმპელემენტაციის 2014-2017 წლებში სამოქმედო გეგმა.

2014 წელს მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა საქართველოში წარმოდგენილ დონორებთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან. აღნიშნულის ფარგლებში:

USAID-EPI პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ბროშურა, სადაც მოკლედ არის მიმოხილული შესყიდვების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და უპირატესობები, აგრეთვე სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ ინფორმაცია და ცენტრის ძირითადი მიზნები

- USAID- G3 პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა სამი გამოცემა, კერძოდ:
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლების სახელმძღვანელო;
- 200 ხშირად დასმული შეკითხვა სახლემწიფო შესყიდვების შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისათვის.

აღნიშნული გამოცემების მიზანია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებზე და ერთიანი ელექტრონული სისტემის მოხმარებაზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთათვის. გამოცემები ხელს შეუწყობს ცოდნის ამაღლებას შესყიდვების სფეროში, რაც შეამცირებს არაკვალიფიციურად ჩატარებული ტენდერების რაოდენობას.

ასევე, სააგენტო ჩართული იყო ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. კერძოდ, ანტიკორუფციული საქმიანობის ფარგლებში შემუშავდა 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ანტიკორუფციული როლის



გაძლიერება; კორუფციული რისკების შემცირების მიზნით წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა საფუძველზე განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა.

სააგენტო აქტიურად იყო ჩართული ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. სამოქმედო გეგმა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაფართოებას.

შეფასებები და გამოხმაურებები

2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ფაქტიურად განაახლა ურთიერთობა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და დაამყარა თანამშრომლობა სრულიად ახალ საფინანსო ინსტიტუტებთან. გრძელდება თანამშრომლობა საქართველოში მოქმედ დონორებთან და მათ საერთაშორისო პროექტებთან.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და სააგენტოს საქმიანობა დადებითად შეფასდა საერთაშორისო ინსტიტუტების, არასამთავრობო სექტორისა და მთავრობის მხრიდან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, კონფერენციაზე „ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP), სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „ჩვენი მიზანია, გავხდეთ კიდევ უფრო ღია ჩვენი მოქალაქეებისათვის, მეტად ანგარიშვალდებული მათ წინაშე და უფრო მეტი და ფართო უფლებამოსილება მივანიჭოთ მათ. ჩვენს ქვეყანას აქვს ყველაზე ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების, საჯარო ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებასა და სახელმწიფო მომსახურების მიწოდებას.“

http://government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=380&info_id=44715

დოჰაში (ყატარი), გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მე-13 კონგრესზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ქ-მა თეა წულუკიანმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის პოზიტიურ როლზე საქართველოში კორუფციის აღმოფხვრაში.

(http://www.unodc.org/documents/frontpage/2015/April/stmts_14Apr_CrimeCongress13.pdf)

ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს“ 2014 წლის საქმიანობას დადებითად აფასებს. „ასოციაცია“ 2014 წლიდან მონაწილეობას იღებს და აკვირდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცესს. „ასოციაციას“ მიაჩნია, რომ საბჭოში თითოეული საჩივრის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის განუხრელი დაცვით, მაქსიმალური გამჭვირვალობის პირობებში, რაც დადებითად აისახება საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხსა და დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობის კუთხით საერთო სასამართლოების განტვირთვის პროცესზე.

http://www.gyca.ge/ge/page/news_item/a-a-ip-saqartvelos-axalgazrda-konstitucionalistta-asociacia-saxelmwifo-sesyidvebis-saagentosi-sesyidvebtan-dakavsirebuli-davebis-ganxilvis-sabwos-2014-wlis-saqmianobas-dadebitad-afasebs-qartuli-kanonm



მსოფლიო ბანკმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შეფასების შესახებ სტატია, რომელშიც ყურადღება ეთმობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებულ რეფორმებს, ერთიანი ელექტრონული სისტემის საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით მსოფლიო ბანკის ტენდერების ჩატარების საკითხებს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმატებულ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას.

2012 წელს მსოფლიო ბანკმა დაიწყო საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემის შეფასება, რომლის მიზანს მისი მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. შეფასებამ გამოავლინა სფეროები, რომელიც საჭიროებდა ცვლილებას და დახვეწას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, თითქმის ორწლიანი ინტენსიური შიდა სამუშაოებით და სამთავრობო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაატარა ეს ცვლილებები.

2014 წლიდან მსოფლიო ბანკმა, საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოყენებით, დაიწყო სამშენებლო დარგის პროექტების შესყიდვა, რომლის სახელშეკრულების ღირებულება 10 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლებია. ასევე საქონლის შესყიდვა, რომლის ღირებულება ერთი მილიონი აშშ დოლარის ფარგლებშია.

საგულისხმოა, რომ შესყიდვების სააგენტოს მნიშვნელოვანი მიღწევები ასევე აღიარა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ. მათ შორის: OECD-მ (the Organization for Economic Co-operation and Development – ეკონომიკური თანამშორმლობის და განვითარების ორგანიზაცია) , United Nations (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და Transparency International (საერთაშორისო გამჭირვალობა). ამ უკანასკნელმა, 2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო დაასახელა აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის 19 ქვეყანას შორის საუკეთესო ქვეყნად.

http://www.worldbank.org/en/news/feature/2015/02/18/georgia-an-e-procurement-success

პარტნიორები

Centre for International Migration and Development

a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

თბილისი 2015